# სოფლის პროგრამის ფარგლებში უკვე 15 სოფელში გაიმართა შეხვედრა



სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ყველა თემში სოფლის კრებები იმართება, რომელსაც მერაბ ჭანუყვაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან, დავით დარჩიასთან და გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ესწრება. უკვე გაიმართა შეხვედრები სოფლებში: გურიანთა, სოფ. ოზურგეთი, მელექედური, მერია, კონჭკათი, თხინვალი, ურეკი, ბაილეთი, სილაური, ჯუმათი, ლიხაური, ნარუჯა, ლაითური

სოფ. შრომასა და ნატანებში ადგილობრივებმა საკუთარ სოფელში მოსაგვარებელი პრიორიტეტული პრობლემები წარმოადგინეს.

შრომის თემზე მიმდინარე წელს, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში 104 ათას 500 ლარი გამოიყო. მოსაწესრიგებელი შიდა სასოფლო გზები, გამრიცხველიანება, მოსაცდელების მოწყობა და საბავშვო ბაღში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები არის ის საკითხები, რომელიც შრომაში 2015 წელს უნდა მოგვარდეს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რთულ საგზაო მონაკვეთებს მოაწესრიგებს და რამდენიმე უბანში მილხიდების მოწყობას უზრუნველყოფს.

100 ათას 993 ლარი გამოიყო სოფელ ნატანებზე. აღნიშნული თანხის ფარგლებში მიმდინარე წელს შიდა-სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და გასული წლის ნარჩენი თანხით კულტურის სახლის გადახურვა იგეგმება.

— თქვენი ჩართულობის გარეშე არცერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ. თქვენ ხართ ადამიანები, რომლებმაც უდიდესი ნდობა გამომიცხადა და თითოეული თქვენგანის წინაშე ანგარიშვალდებული ვარ. ვეცდები ბოლომდე გაგიმართლოთ ეს ნდობა. საჭიროა დროული და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რათა მშენებლობის ტემპები დაჩქარდეს და მოკლე დროში რეალური შედეგი დავდოთ. ამიტომ თქვენი ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილება-თა მიღების პროცესში აუცილებელია, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ.





## ირინა საჯაია საკრებულოში რჩება

**ალიონი**. 3 მარტს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ოფისში გაკეთდა განცხადება, რომ ირინა საჯაია ტოვებდა ქ. ოზურგეთის საკრებულოს რიგებს. ამის მიზეზი წინა დღით, ქ. ოზურგეთის საკრებულოში განვითარებული მოვლენები იყო. ნაციონალმა დეპუტატმა მხარი ქ. ოზურგეთის მერის პროექტს დაუჭირა.

— ნაციონალური მოძრაობა, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა ვითვალისწინებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ჩვენი ქალაქის და ქვეყნის წინაშე და ყოველგვარი ზედმეტი კომენტარის გარეშე გაცნობებთ, რომ ქალბატონმა ირინა საჯაიამ მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება დატოვოს ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს წევრის მანდატი და გააგრძელოს აქტიური პოლიტიკური საქმიანობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ორგანიზაციაში —განაცხადა ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ.

გაზეთი „ალიონი" იმავე დღეს დაუკავშირდა ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ ოლქისთვის ჯერ-ჯერობით დეპუტატის ადგილმონაცვლეობის შესახებ არავის მიუმართავს.

მოგვიანებით სახლში ვინახულეთ დეპუტატი ირინა საჯაია.

—საკრებულოს სხდომაზე მე მხარი დავუჭირე ქალაქში ინვესტიციების შემოსვლას. მინდა ქალაქში კარგი საქმე გაკეთდეს. მე ხმის მიცემამდე გამოვხატე ჩემი პოზიცია.

ირინა საჯაიამ თავდაპირველად დაადასტურა საკრებულოს მანდატის დატოვების შესახებ, თუმცა მომდევნო დღეს მან მანდატის დატოვებაზე უარი განაცხადა.

5 მარტს ნაცმოძრაობის ოზურგეთის ოფისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავარი პოლიტიკური საბჭოს წევრები, პარლამენტარები ირმა ნადირაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი იმყოფებოდნენ. გაზეთმა „ალიონმა" მათ ირინა საჯაიას გარშემო შეკითხვები დაუსვა:

— „ქალბატონ ირინა საჯაიასთან ჩვენ გვაქვს კითხვები, გვაინტერესებს, რა იყო მოტივაცია, როცა არ მისცა ხმა და რა შეიცვალა, როცა უკვე ხმა მისცა. მით უმეტეს, ამ საკითხთან დაკავშირებით ოზურგეთში აზრთა სხვადასხვაობაა და არსებობს კითხვები ამ გარიგებასთან და ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. რა მოხდა ამ პერიოდში ასეთი.

ირინა საჯაიას უნდა დაველაპარაკოთ და ვკითხოთ მოტივაცია."—გვითხრა მიხეილ მაჭავარიანმა.

— „შარშან გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების რაოდენობით-ოფიციალურად 15% — ოზურგეთი ჩემპიონი გახდა და პირველად ისტორიაში ეს „ტიტული" ქართულენოვანმა ოლქმა მოიპოვა"—ირინა საჯაიას თემას დაუმატა ხათუნა გოგორიშვილმა.

—რეალურად ეს არა ირინა საჯაიას, არამედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ადგილია ქ. ოზურგეთის საკრებულოში.—განაცხადეს მათ.

გასულ პარასკევს კვლავ დავუკავშირდით ქალბატონ ირინა საჯაიას:—მე ვრჩები ქ. ოზურგეთის საკრებულოში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობას მივმართე პარტიიდან გასვლის შესახებ, თუმცა მე ვრჩები ამ პარტიის მხარდამჭერად.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №10 (10100), 9 მარტი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


## ადგილობრივი პოლიტიკოსებისთვის ოზურგეთსა და ოზურგეთელებზე მაღლა თავიანთი პარტიების ინტერესები დგას


თემურ მარშანიშვილი




გარეთ ცივა, სამაგიეროდ ქალაქ ოზურგეთის წარმომადგენლობით ხელისუფლებაში ისე ცხელა, რომ პოლიტიკურმა ტემპერატურამ, შეიძლება ითქვას, პიკს მიაღწია. ზედიზედ ორი საკრებულოს სხდომა დასჭირდა იმას, რომ ქალაქის მერისთვის მიეცათ თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სარგებლობის უფლებით გაცემაზე, კერძოდ: აგრარული ბაზრის 4724 კვადრატული მიწის ფართიდან 160 კვადრატული მეტრის სასყიდლიანი ფორმით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის სახით 35 წლის ვადით გაცემის თაობაზე, აღნიშნულ ობიექტზე სავაჭრო ობიექტის აშენების მიზნით და აპოლონ წულაძის ქუჩაზე ანალოგიური ფორმით, ოღონდ ათი წლის ვადით, 42 კვადრატული მეტრი ფართის გაცემის თაობაზე, ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

თუ ძალიან ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა, ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი პოლიტიკოსებისთვის ოზურგეთსა და ოზურგეთელებზე მაღლა თავიანთი პარტიების ინტერესები დგას და თუ გავითვალისწინებთ პოზიცია-ოპოზიციის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებას, განსაკუთრებით ოპოზიციონერი დეპუტატებისა და ქალაქის მერის ერთმანეთისადმი ანტაგონისტურ დამოკიდებულებას, ეს კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს. ვერაფერი ნუგეშია ის, რომ სხვა მუნიციპალიტეტებშიც ასე ხდება. ცუდი და საგანგაშო ის გახლავთ, რომ პოლიტიკით დაკავებულების უმეტესობას პოლიტიკური სიმწიფისა არაფერი ეტყობა.

მოკლედ, პირველ, საკმაოდ ხმაურიან, წაძახილ-წამოძახილიან სხდომაზე ოპოზიციამ მიაღწია საწადელს. ორი ხმით აჯობა პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ფართის გაცემის მხარდამჭერ კოლეგებს და მერს ჩაუგდო ეს საკითხი.

მკითხველს შევახსენებ, მაშინ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, — დარბაზში ერთმანეთისადმი მილოცვების ემოციებისგან რომ ვერ დაიცალნენ, — მათთვის სასურველი ჟურნალისტებისთვის ოპერატიულად გამართულ ბრიფინგზე ლამის ფოიერვერკებით დაასრულეს ზეიმი. ამას მოჰყვა, სიხარულით აღტკინებული ე. წ. „ადგილობრივი ექსპერტების" დასკვნები, რომ „ქართულმა ოცნებამ" საკრებულოში უმრავლესობა დაკარგა (რაც არ ჰქონია, როგორ დაჰკარგავდა?!), რომ ყოველივე ამას შესაძლებელია, მოჰყვეს კარდინალური ცვლილებები


▶▶▶ გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77






დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე

«ალიონით»


## სტუმრად ურეკში



ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება 2014 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციციის წევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, გიორგი კეკელიძე „ურეკის განვითარების საზოგადოების“ საინიციატივო ჯგუფის თხოვნით, ურეკის ბიბლიოთეკით დაინტერესდა.

თებერვლის თვეში ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა ურეკის ბიბლიოთეკას საჩუქრად 500 წიგნი გადასცეს.

სტუმრებს მასპინძლობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების თანამშრომლები და სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლები.

## პრეზიდენტის საჩუქარი

გასული წლის მიწურულს ქალაქ თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ გიორგი მარგველაშვილთან, სადაც იმყოფებოდა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ქალბატონი რუსუდან მემარნიშვილი.

საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელშეწყობით ჩატარდა ღონისძიება „წიგნი ყველა სოფელს“.

ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო გამომცემლებთან შეხვედრა, სადაც მოხდა წიგნების, ძირითადად ქართველი და უცხოელი კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერლების წიგნების არჩევა- შეძენა.

როგორც ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, რუსუდან მემარნიშვილი აღნიშნავს , ოზურგეთის ათი სოფლის მოქმედი ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი იქნა 5000 ლარის ღირებულების ვაუჩერი, წიგნადი ფონდის შესავსებად.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის თანამშრომლების ქალბატონ ნინო მამუკელაშვილის, ბატონ ვახტანგ ვაშაყმაძის ასევე ა (ა)იპ სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის ქალბატონ რუსუდან მემარნიშვილისა და დირექტორის მოადგილის ქალბატონ მაია ზოიძის მიერ ამ დღეებში ათი სოფლის მოქმედ შრომის, მერიის,მთისპირის, ბახვის, ძიმითის, შემოქმედის, ლიხაურის, სილაურის დაბა ლაითურისა და დაბა ურეკის ბიბლიოთეკებს 500-500 ლარის ღირებულების წიგნი ადგილზე გადაეცათ.

## ქალაქის ხელმძღვანელები მოვაჭრეებს შეხვდნენ

**ალიონი.** ოზურგეთის აგრარული ბაზრის მოვაჭრეებს დღეს ქალაქის მერი, ბეგლარ სიორიძე და საკრებულოს თავმჯდომარე, გელა კობალაძე შეხვდნენ. მოვაჭრეებთან შეხვედრის მიზანი მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება გახლდათ.

ბაზარში დასაქმებულ ადამიანებს ბეგი სიორიძემ განუმარტა, რომ ის ბაზრის გაყიდვასა და მათ სახლში გაშვებას ნამდვილად არ აპირებს. „–ნუ დაუჯერებთ ჭორებს და იმ ადამიანებს, რომლებიც ხელოვნურად ცდილობენ თქვენში პანიკა გამოიწვიონ. თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ დაგარწმუნოთ, მე არ ვყიდი ბაზარს. პირიქით, ჩემი სურვილია მოვაწესრიგო ეს ტერიტორია და მუშაობისთვის ნორმალური პირობები შეგიქმნათ.“ - აღნიშნა მერმა.

ქალაქის მერის ინიციატივა მოვაჭრეებისთვის მისაღები აღმოჩნდა. დასახული გეგმის განხორციელებაში მას წარმატებები უსურვეს.



## „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები ოზურგეთის ხელისუფლებას ნეპოტიზმში ადანაშაულებს“

**ალიონი.** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ოფისში პარტიის მთავარი საბჭოს წევრები, პარლამენტის დეპუტატები ირმა ნადირაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი იყვნენ.

ირმა ნადირაშვილმა და ნაცმოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართეს.

მათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ქ. ოზურგეთის მერიაში თანამდებობებზე დანიშნულთა ნათესაურ კავშირებზე ისაუბრეს.

–ოზურგეთს კეჟაყმაძის და ადიკო ივანიშვილის კლანი მართავს–აღნიშნა მჟავანაძემ. მანვე 61-კაციანი სიიდან რამდენიმე ადამიანი დაასახელა.

–რატომ არის ამ სიაში მარინა ჯაფარიძე,რომელიც კვალიფიციური კადრია და წინა ხელისუფლების დროსაც მუშაობდა მუნიციპალიტეტში აღნიშნულ თანამდებობაზე-კითხვა დასვა გაზეთმა „ალიონმა.“

– მარიკა ვერულაშვილი ნაცმოძრაობაში ჩვენს მისვლამდე იყო, მაგრამ დღეს იგი სად არის ხედავთ-გვიპასუხა მიხეილ მაჭავარიანმა.

–მუნიციპალიტეტის გამგეობაში ყველა



კონკურსის წესით დაინიშნა, აქ კვალიფიციური და თავიანთ საქმეში კომპეტენტური კადრები მუშაობენ. ნაციონალური მოძრაობის არასერიოზულ განცხადებებზე კომენტარს არ გავაკეთებ. მე მყავს ძლიერი გუნდი და რომელიმე თუ ჩემი თანასოფლელია ნიშნავს იმას, რომ ის პროფესიონალია–გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

– ირმა ნადირაშვილი ოზურგეთელი არ არის და ბუნებრივია სია დავით მჟავანაძემ მიაწოდა. არც ერთი თანამშრომელი არ დანიშნულა ნეპოტიზმით. თითოეულმა თანამშრომელმა გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი და ისე დაინიშნენ სამსახურში - განაცხადა ბეგი სიორიძემ.

## ორიგინალური მილოცვა

ქალბატონი ქეთევან ხიდაშელი ერთადერთია, ვინაც 3 მარტის ყველაზე ორიგინალური მილოცვა გააკეთა. საქმე ისაა, რომ 3 მარტი ქეთევანის მეუღლის დაბადების დღეა.

„მე ჩემს მეუღლეს ვულოცავ დაბადების დღეს, ბევრი გულებით და ხვალ სიურპრიზით“ – წერს საკუთარ ფეისბუკგვერდზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი.

## ჭანჭათში შუქია, ოზურგეთში - არა

ოზურგეთი, 5 მარტი, პარასკევი, მთელ ქალაქში შუქი გამორთულია. რედაქციაში ისე გვცივა, ერთმანეთს ვეხუტებით. ერთი ჭანჭათელი გვყავს, ფეხზე დგება და სახლში რეკავს:

– შუქი გვააქ?

– კი, ნენა – უპასუხეს ტელეფონზე.

– ე, ჭანჭათში შუქია, ოზურგეთში – არა. წევედი, აწიმ ჩემი „მარშრუტკაც“ გავა, ჩაო! – გვითხრა და ძვლივს გაეტია კარებში.

## ოზურგეთელი მძლეოსნების მორიგი წარმატება



ქ. თბილისში, მძლეოსნობის სასახლეში ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. ჩემპიონატში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის 8 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. გუნდმა წარმატებით იასპარეზა და საერთო ჯამში ერთი ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების წევრმა ელენე ტოლსტოვამ სიგრძეზე ხტომაში მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო 60 მეტრსა და 200 მეტრზე რბენაში მე-3 ადგილი. ნატო აროშიძემ სიგრძეზე ხტომაში მე-3 ადგილი დაიკავა. 4X200 მეტრზე ამანათრბენში ელენე ტოლსტოვა, ნატო აროშიძე, ნინი ქავჟარაძე, ელენე გოგიჩოვა მე-3 ადგილზე გავიდნენ.

ამ შედეგების მიხედვით მოხდება იმ სპორტსმენების გამოკვეთა, რომლებიც 2015 წლის მინიოლიმპიადაზე საქარტველოს ნაკრებ გუნდში იასპარეზებენ. ამ თვეში ელენე ტოლსტოვა საქართველოს ნაკრებ გუნდთან ერთად საწვრთნელ შეკრებას ანტალიაში გაივლის.

## როსტომ აბაშიძის ხსოვნის ტურნირზე

ქ. ბათუმში ჩატარდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის როსტომ აბაშიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ნაკრებიდან მე-3 საპრიზო ადგილები დაიკავეს 54,58,63,69, 76 კგ. წონით კატეგორიაში ბექა ტეფნაძემ, ტრისტან ქინქლაძემ, გიგლა დიასამიძემ, გია გიორგაძემ, ნიკა სირაძემ, მამუკა ესაძემ. (მწვრთნელი, საქართველოს დამს. მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი).

# ადგილობრივი პოლიტიკოსებისთვის ოზურგეთსა და ოზურგეთელებზე მაღლა თავიანთი პარტიების ინტერესები დგას



ქალაქის ხელისუფლებაში. მოკლედ, მათი ჭკუით, ნაადრევად დაუღამეს მოქმედ ხელისუფლებას, დაამხეს და დაასამარეს იგი.

როგორც წინა ნომერში ვწერდით, მოზეიმეთათვის რატომღაც მიუღებელმა „ალიონმა“ საკითხის ჩავარდნის მიზეზები ქალაქის მერთან მოიკითხა. ბეგლარ სიორიძემ მაშინ ჩვენთან საუბარში აღიარა, რომ ქალაქის მერიამ ეს საკითხი სათანადოდ ვერ მოამზადა, თორემ უმრავლესობა მხარს დაუჭერდა, რომ ამჯერად ამ საკითხს თვითონ ამზადებდა საკრებულოს სხდომაზე ხელახლა გასატანად და 2 მარტის სხდომაზე გაიტანა კიდეც.

საკრებულოს სხდომების მეტს რას დავსწრებივარ, მაგრამ ვერ ვიხსენებ ვერც ერთ საკითხს, რომლის შესახებაც დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას ამდენი დავა, ამდენი ნერვების გლეჯა და ამდენი დრო დასჭირვებოდეს. ჩვენი ფორმატის გაზეთში იმის დატევას, რაც ამ სხდომაზე მოხდა, მოკლედ თქმის დიდოსტატებიც ვერ შეძლებენ. ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ადგილობრივი ტელევიზიის პირდაპირი ეთერი.

**— „როგორც ქალაქის მერი, აბსოლუტურად ბოლომდე საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ ამ, არამედ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც შემოსულა დღემდე და რაც შემოვა დღეის შემდეგ. ვერავინ, ვერც ერთი პარტია, ვერც ერთი ზემდგომი, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ მოახდენს ჩემზე გავლენას, რომ დავსვა და გამოვიტანო ისეთი საკითხი, რაც ჩვენი ქალაქისთვის არ იქნება მისაღები“.**

ბეგლარ სიორიძის მხრიდან ასეთი ექსპოზიციის შემდეგ, გამიჭირდება იმის თქმა, რომ დეპუტატებმა მათთვის უკვე კარგად ნაცნობი საკითხისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს, რადგან კითხვებს რეპლიკები სჭარბობდა, რის გამოც საკრებულოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე მოუხდა ჩარევა და დეპუტატებისთვის შენიშვნის მიცემა.

გამორიცხულია, ასეთი გააფთრებული კამათის შემდეგ ვინმეს სიტყვა არ წაუბოძიკდეს, რაიმე ისეთი არ დაცდეს, რაც არ უნდა დაცდენოდა. ამიტომ მკითხველს აღარ გადავღლი იმ გაუთავებელი დებატებით, რომელშიც პრინციპულობას სიჯიუტე სჭარბობდა, ლოგიკურ აზროვნებას — ამბიციური და პათეტიკური გამოსვლები. მით უმეტეს, რომ ინტერნეტსივრცე უკვე აჭრელებულია ამ სხდომის ინტერპრეტირებული დიალოგებით.

ისე, საინტერესოა, თუ ოზურგეთში საკმაოდ სახელდებული ექიმი, 62 წლის დავით ჩანტლაძე ხედავს და აღიარებს, რომ ასეთი მშენებლობის ბუმი ოზურგეთში მას არ ახსოვს, მასზე გაცილებით ახალგაზრდა ზოგიერთი დეპუტატი რატომ იკრავს თვალზე ლიბრს? თუ ხედავს და არ უნდა აღიაროს?

ოზურგეთში ახლა ერთობლივად 17 პროექტი ხორციელდებაო, — თქვა მერმა. კარგია თუ მეტს მოითხოვენ, მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რამდენად შესაძლებელია ეს.

სხდომაზე ამ საკითხის ხელმეორედ გამოტანა ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ დეპუტატებისა და მთლიანად საკრებულოს უპატივცემულობად მიიჩნია; „პატრიოტთა ალიანსელი“ გოჩა ძიძისტარიშვილი იმით დაინტერესდა, რამდენად აქვს ქალაქის მერს მორალური უფლება მუნიციპალიტეტის ქონება იჯარით გადასცეს ისეთ პირს, რომელმაც მათ „გამოშტერებული“ უწოდა (საუბარია ბიზნესმენ გოჩა სალუქვაძეზე), დეპუტატ ლევან მგელაძისთვის კი გაუგებარია, რატომ უნდა გაიცეს მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი წესით, როცა, მისი აზრით, აუქციონის ფორმით გაცემა მეტ სარგებელს მოუტანდა ქალაქს.

შესაბამისი პასუხების (ზოგისთვის მიუღებელი, ზოგისთვის მისაღები) გაცემის შემდეგ, როგორც იქნა, საკითხი კენჭისყრაზე დადგა, მას 15-დან 9 დეპუტატმა დაუჭირა მხარი და არა 8-დან 7-მა, როგორც ამას ერთ-ერთი მედიასაშუალება იუწყებოდა, რომ თითქოს „ნაციონალმა“ ირინა საჯაიამ იხსნა მერი საკითხის ჩავარდნისაგან.

ქალაქის მერმა ბეგი სიორიძემ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა იმისა, რომ ხსენებული სავაჭრო ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლიდან აგრარული ბაზარი ყოველწლიურად მინიმუმ 30 ათასი ლარით შეავსებს ქალაქის ბიუჯეტს. მანვე განაცხადა: **„ა. წულაძის ქუჩაზე მდგარ ტაქსებს ქალაქის ცენტრში შევთავაზებთ სხვა ადგილს. თუ იტყვიან, რომ არა, ჩვენ მაინცა და მაინც აქ გვინდაო, აიღონ იჯარით ის ტერიტორია, დარჩნენ იქ და შპს-ს „ტაქსი გამოძახებით“ სხვა ადგილს მოვუძებნით. ეს არ მოხდება დღეს და ხვალ, ჩვენ ჯერ ამ ხალხს მოვუგვარებთ თავის პრობლემას და მერე გავაფორმებთ ხელშეკრულებას ხსენებულ შპს-თან“.**

კენჭისყრის დამთავრებისთანავე მოხდა, რაც მოხდა, მასმედიურ სივრცეში ბეგლარ სიორიძის „დაუძინებელი მტერი“ ნათია შარაშენიძე ლამის დაეძგერა ირინა საჯაიას, ქალაქის მერთან აშკარად გარიგებული იყავიო, სხვათა შორის, შარაშენიძემ საჯაიას მისამართით უკმაყოფილება მანამდეც გამოხატა, როცა საჯაიამ თავის დასმულ კითხვაზე მერისგან პასუხი მიიღო, ე. ი. შენ ხმას აძლევო.

სხდომის დამთავრების შემდეგ კი „ნაციონალებმა“ სცადეს „ტაიფუნის“ დატრიალება ერთ-ერთი მედიასაშუალებით. ჯერ ქალაქის მერის მხრიდან „ნაციონალ“ დეპუტატ ირინა საჯაიაზე ზეწოლა მოხდაო, ალაპარაკდნენ, მერე, როგორც ჩანს, თვითონ ირინა საჯაიაც „პარში“ გაატარეს, დიდი ალბათობით საკრებულოზე გამოტანილი საკითხისთვის ხმის მიცემის გამო და გადაწყვიტეს იგი ბატონი ოთარ რევიშვილით, „მძიმე არტილერიით“ ჩაენაცვლებინათ. მე მგონი, აქ ცოტა „იაღლიში“ მოუვიდათ, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, საჯაია აღარ აპირებს საკრებულოს თავმჯდომარესთან განცხადების შეტანას და დეპუტატის უფლებამოსილების თავისი ნებით შეწყვეტას.

ამას მოჰყვა ოზურგეთში თბილისიდან, „ნაციონალების“ სათავო ოფისიდან ოზურგეთში „დესანტის“ ოპერატიულად გადმოსხმა, დემაგოგიაში დახელოვნებული ქალბატონი ირმა ნადირაშვილის განცხადება ნეპოტიზმზე, რომ „ოზურგეთს ორი კლანი მართავს, კეჭაყმაძეებისა და ივანიშვილების“; „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს არჩევნების გაყალბების ოსტატის, ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილის გამოსვლა, რომ „შარშანდელ არჩევნებზე ბათილი ბიულეტენებით ოზურგეთი ჩემპიონი გახდა“ და არჩევნების გაყალბების საყოველთაოდ ცნობილი დიდოსტატის, „ნაციონალების“ ერთ-ერთი „მარადმწვანე“ პარლამენტარის, ბატონი მიხეილ მაჭავარიანის განცხადებაც, რომ „საჯაიასთან გვაქვს კითხვები, გვაინტერესებს, რა იყო მოტივაცია, როცა არ მისცა ხმა და რა შეიცვალა, როცა უკვე ხმა მისცა“.

მოკლედ, „ნაციონალები“ ხელებდაკაპიწებული მუშაობენ, ნაცადი ბინძური პოლიტიკის გატარებით ცდილობენ, სახელისუფლებო სტრუქტურების ყველა რგოლში დესტაბილიზაციის შეტანას, ქვეყანაში არსებული მართლაც არასასურველი მდგომარეობის 21 მარტისთვის რაც შეიძლება დაძაბვას, ამ დროს აშკარად ვერ დგას თავის სიმაღლეზე მთლიანად ხელისუფლება და სახელისუფლებო „ქართული ოცნებაც“, რომელიც ვერ ან არ აკეთებს საპასუხო სვლებს „ნაციონალების“ პროვოკაციულ გამოსვლებზე. ყოველ შემთხვევაში, ოზურგეთში ასეა.

ძნელი გამოსაცნობი არც ის არის, ასეთ რთულ სიტუაციაში ვის წისქვილზე ასხამენ წყალს დანარჩენი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც რატომღაც მხოლოდ თავიანთი ამბიციური ჭიის გახარებით, ასევე ქალაქის მერისთვის დისკრეტიდაციისა და იმპიჩმენტის მოწყობის მცდელობით არიან დაკავებული. ამიტომ ვთქვი წერილის დასაწყისში ადგილობრივი პოლიტიკოსებისთვის ოზურგეთსა და ოზურგეთელებზე მაღლა თავიანთი პარტიების ინტერესები დგას-მეთქი. თუ ამ საკითხს უფრო მასშტაბურად შევხედავთ, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, მაპატიეთ და სულ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხი და ქვეყანა, მათთვის მთავარია, რეიტინგი და მომავალ არჩევნებში სასურველი შედეგების მიღწევა.

რაც ყველაზე საშინელია, არავინ ჩანს პასუხიმგებელი იმაზე, რა შედეგი მოჰყვება ქვეყნისა და ხალხისათვის ამდენ სკანდარიკოებს.

# საკრებულოს სხდომა ავტოგრაფით



**ალიონი.** 4 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელმაც 11 საკითხი განიხილა.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძემ საკრებულოს ქალ დეპუტატებს გერბერები გადასცა,

პირველ საკითხად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის № 48 დადაგენილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 990 996 ლარი, საიდანაც საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, 219 700ლარი დაიხარჯება, ხოლო პროექტით გათვალსწინებული სამუშაოების განსახორციელებლად 1 771 296 ლარი.

ამავე დადგენილებით შემცირდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების ხარჯი 1 200 000 ლარით და შესაბამისად გაიზარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინჟინროგეოლოგიური სამუშაოები 219 700 ლარით; ინფრასტრუქტურული სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში –1 771 296 ლარით; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში 1 200 000 ლარით.

კამათი გამოწვია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის საკითხმა. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ერთი კვადრატულის ღირებულება 9,984 ლარით განისაზღვრა.

დეპუტატმა დავით სიხარულიძემ გამოთქვა აზრი, რომ გარდა შავიზღვისპირა ზოლისა, ეს ფასი სხვა ადგილებში არ მიიზიდავდა ინვესტორს.

—შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ საწყისი ფასი ეს იქნება განმარტეს საკრებულოში.

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა შესყიდვების გეგმაში მორიგი ცვლილებები წარმოადგინა: სახელმწიფო ბიუჯეტით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი გაიზარდა 23 100 ლარით და 219 700 ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ბიუჯეტით კი კონდიციონერების და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯი შესაბამისად 1900 და 1500 ლარით გაიზარდა.

საკრებულომ დაამტკიცა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“და გამგეობისა და საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისთვის მოსაკრებელის გადახდის წესი. მანვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხა დაამტკიცა. საკრებულომ კიდევ რამდენიმე საკითხი განიხილა.

საკრებულომ მოისმინა დავით დარჩიას ანგარიში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და დაამტკიცა. ასევე დაამტკიცა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი კვერღელიძის ანგარიში.

სხდომის ბოლოს საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ თავისი კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც მოდიან სხდომის დასაწყისში, რეგისტრაციას გადიან და შემდეგ სხდომას არ ესწრებიან. მან ამის მაგალითიც მოიყვანა:—დღეს დილით სხდომის დაწყებამდე მოვიდა დეპუტატი დავით მჟავანაძე საკრებულოში, ავტოგრაფი დაგვიტოვა და სხდომას არ დაეწრო. ასეთი ფაქტები დეპუტატების ანაზღაურებაზეც უნდა ჰპოვებდეს ასახვას.

იმ დღეს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 4 დეპუტატიდან სხდომას არც ერთი არ დასწრებია.

# ოზურგეთი - ფოლკლორის ქალაქი

ოზურგეთი რომ ფოლკლორის ქალაქად გამოცხადდა, არავისთვისაა უცნობი, შესაბამისად, ქალაქში უკვე დაწყებულია პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფოლკლორის, გურული სიმღერების,და არა მხოლოდ გურული სიმღერების, განვითარებასა და პოპულარიზაციას...

სწორედ ამიტომ გაიხსნა ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრი, რომლის ოფისიც მუზეუმის შენობის ერთ ნაწილში განთავსდება, თუმცა ჯერ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ცენტრმა ფუნქციონირება უკვე დაიწყო... როგორც ამ ცენტრის კონსულტანტი ტრისტან სიხარულიძე ამბობს, ფოლკლორის ცენტრში შექმნილია ჯგუფები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის, როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის. მათ თავდაპირველად გაიარეს მოსმენა, რომლის შემდეგაც 80-მდე ბავშვი შეირჩა... ჟიურიში იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც შემდგომ უკვე იქნებიან შერჩეული კანდიდატებიდან პედაგოგები, თუმცა, როგორც ცენტრში ამბობენ, ეს ბავშვები დაიწყებენ მუშაობას და შემდეგ უკვე, თუკი შეძლებენ ყველაფრის ათვისებას, ამ შემთხვევაში გააგრძელებენ სწავლას... როგორც ჩანს, დაინტერესება საკმაოდ დიდია... ცენტრში დღეისათვის მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, ისწავლონ: გურული სიმღერები, გალობა, ხალხური სიმღერები, ასევე სოლფეჯიო და ხელოვნების ისტორია... რაც შეეხება პროგრამას, იმ სიმღერების ჩამონათვალს, რომლებიც სავალდებულოა, ისწავლებოდეს, ამტკიცებს საქართველოს ფოლკლორის ცენტრი.... აღსანიშნავია, რომ ის მოსწავლეები, რომლებმაც დაიწყეს უკვე სწავლა, არ იხდიან გადასახადს, ფოლკლორის ცენტრში სწავლა ყველასთვის უფასოა... მეცადინეობები კი ისეა გადანაწილებული, რომ ბავშვებმა მოახერხონ სკოლასთან შეთავსება, გაკვეთილები ცენტრში 3 საათიდან იწყება...



საინტერესოა ექვსკაციანი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია მე-11 და მე-12 კლასელი ბიჭებით, ისინი გაივლიან მხოლოდ გურული სიმღერების სწავლების კურსს, შემდეგ კი რამდენიმე მათგანი ჩაირიცხება საქართველოს ფოლკლორის ცენტრში უგამოცდოდ, ასევე ჩარიცხული მოსწავლეები საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი იქნებიან თბილისში, თუმცა ჯერ უცნობია, რამდენი მათგანი შეძლებს ამ შედეგის მიღწევას... ეს ჯგუფი ყოველ წელს შეივსება ახალი წევრებით, რომლებიც ჩაანაცვლებენ ძველ მოსწავლეებს...

ტრისტან სიხარულიძის თქმით, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში ანზორ ერქომაიშვილს, ჯემალ ჭკუასელს, ავთო სურგულაძეს, მთლიანად საქართველოს ფოლკლორის ცენტრსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს... ,,ცენტრის სამუშაო არეალი თუკი გაფართოვდება, ეს მისასალმებელი იქნება, შესაძლოა, იყოს რეწვა, ასევე კარგი იქნება, თუ ვივლით სოფლებში და აღმოვაჩენთ მივიწყებულ სიმღერებს, შემდეგ აღვადგენთ მათ, არა მხოლოდ სიმღერები, სპორტული თამაშებიც, რომლებიც პოპულარული იყო ძველად და დღეს აღარ არსებობს და ა.შ, მე იმედი მაქვს, რომ რადგან დაიწყო ეს პროცესი, აღარ შეჩერდება. გურული სიმღერები ახალგაზრდებსაც დააინტერესებს და ის, რაც ძველად იყო, აღარ იქნება მივიწყებული, რისი საშიშროებაც ნამდვილად არსებობს...''-განაცხადა ტრისტან სიხარულიძემ.

**ხატია ჭანიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

# ოზურგეთის გენდერული პოლიტიკა და პოლიტიკოსთა შეფასებები

შედგა თუ არა ქალი პოლიტიკოსი ოზურგეთში, რა გამოწვევების წინაშე არიან პოლიტიკოსი ქალბატონები, შეუწყო თუ არა ხელი გენდერულ ბალანსს კვოტირების სისტემამ, დეპუტატის პასუხისმგებლობა ამომრჩევლისა თუ პარტიის წინაშე, ამ თემებზე სასაუბროდ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ინიციატივით, 5 მარტს მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს თემებისა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოების დეპუტატებმა, გამგეობისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელმა ქალბატონებმა. საკუთარი მოსაზრებები გამოხატეს მამაკაცებმაც.



ცხემლისხიდის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლალი სიჭინავამ გურული ქალების უცნობ ისტორიებსა და ოზურგეთის გენდერულ პოლიტიკაზე ისაუბრა. შემდეგ ღონისძიების წამყვანის თამარ კუპრაძის კითხვებს გასცეს პასუხები მოწვეულმა სტუმრებმა. აღინიშნა, რომ ოზურგეთში პოლიტიკოსი ქალბატონები ვერ წარმოუდგენიათ ირინა კოპალეიშვილის, ლელა ნაცვალაძისა და ირინა საჯაიას გარეშე.

ირინა კოპალეიშვილი: - ქალი იმავე შესაძლებლობებით გამოირჩევა, როგორც მამაკაცი. მე გავიარე გზა ქუჩის პოლიტიკიდან კაბინეტურ პოლიტიკამდე. თუმცა იმ პერიოდში, როცა პოლიტიკაში მოვედი, იყო იდეა სამშობლოს დამოუკიდებლობისა. პოლიტიკისთვის მოწოდებული გულით უნდა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მიწევს ურთიერთობები ოპონირების რეჟიმში, დღემდე შევინარჩუნე სუფთა ადამიანური ურთიერთობები.

ლელა ნაცვალაძე: - როცა მაკრიტიკებენ, რამდენი პარტია მოიცვალა, ვიტყვი, არც ერთხელ არ ვყოფილვარ ხელისუფლებაში. ვებრძოდი რეჟიმს და ამ ბრძოლაში სამი პარტია გამოვიცვალე. ახლა ჩემში არ ზის აგრესიული ლელა ნაცვალაძე, რადგან ვთვლი, რომ მაქვს საკმაო პოლიტიკური გამოცდილება. მიუხედავად იმისა, ვარ ინჟინერ -ეკონომისტი, ჩემი პროფესია დამავიწყდა. ვთვლი, რომ პოლიტიკაში ყველაზე მომგებიანი სამართლიანობაა. არასოდეს არ მიცეკვია სხვის დაკრულზე. რასაც სწორად ვთვლიდი, ვაკეთებდი იმას.

კითხვაზე, სჭირდება თუ არა მხარდაჭერა ქალს, დეპუტატ ალეკო გორგოძის მოსაზრებით -საკრებულოში დეპუტატი არის ხალხის რჩეული და მას არავინ უჭერს მხარს იმიტომ, რომ მამაკაცია, ან ქალია. მხარდაჭერა ღირსეულს სჭირდება.

დეპუტატ ლელა საჯაიას თქმით, მხარდაჭერა არა ნებისმიერ, არამედ მართებულ ინიციატივას სჭირდება.

ქალაქის საკრებულოს აპარატის უფროსის ბესო მელუას თქმით, ნებისმიერი სუბიექტი უნდა ცდილობდეს ქალის გაძლიერებას და არა მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში.- ვთვლი, რომ უფრო მეტი ქალი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პარტიულ სიებში. პოლიტიკაში ქალი საფრთხეს არ წარმოადგენს..

- დაწინაურება, ან ხელშეშლა უნდა ხდებოდეს არა გენდერული ნიშნით, არამედ ზნეობრიობის, მორალისა და პროფესიონალიზმის მიხედვით. აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძემ. შეხვედრაზე საუბარი იყო მედიასაშუალებების დამოკიდებულებასა და ტენდენციურობაზე პოლიტიკოს ქალთა მიმართ.

შეხვედრის ბოლოს ირინა კოპალეიშვილმა გააკეთა განცხადება: მინდა ჩემი პატივისცემა დავადასტურო ირინა საჯაიას მიმართ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა დახვეწილი ადამიანური ურთიერთობებით. მიუხედავად მძიმე რეჟიმისა, ჩვენ გვახსოვს ირინას არაერთი სამართლიანი გადაწყვეტილება. ირინა კოპალეიშვილის ამ განცხადებას არაერთი სტუმარი დაეთანხმა და თავიანთი დადებითი პოზიცია გამოხატეს მის მიმართ.

ამავე შეხვედრაზე გაჟღერდა ინფორმაცია ლელა ნაცვალაძემ მის მიერ პოლიტიკური გაერთიანების დატოვების შესახებ.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს სიმბოლოების - გერბისა და დროშის შექმნის მიზნით

**1. კონკურსის საფუძველი.**

1.1 კონკურსის საფუძველია ,,საქართველოს ორგანული კანონი''-ს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-8 მუხლი და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოდან მ/წლის 23 იანვრის შემოსული 8/01.07 წერილი.

**2. კონკურსის მიზანი.**

2.1 კონკურსის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის: გერბისა და დროშის საუკეთესო პროექტის შერჩევა.

**3. ზოგადი კრიტერიუმები.**

3.1 კონკურსს ატარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3.2 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა.

3.3 კონკურსი ტარდება ერთჯერადად, სამუშაო ენა ქართული.

3.4 კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი ავტორის მონაწილების შემთხვევში. თითოეული ავტორის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა შეზღუდული არაა.

3.5 გერბისა და დროშის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ჰერალდიკური მემკვიდრეობა;

ბ) ტერიტორიის ისტორიული მემკვიდრეობა;

გ) ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის მახასიათებელი ისტორიული, ეთნოგრაფიული ან მითოლოგიური ნიშანი.

3.6 კონკუსთან დაკავშირებულ ყველა დამატებით საკითხზე ცნობას და განმარტებას იძლევა კონკურსის ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფი.

**4. კონკურსის პირობები**

4.1 გერბისა და დროშის პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

4.2 საკონკურსო პროექტის კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი.

4.3 კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს 14 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზი (კოდის) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა - დასაბუთება.

4.4 საკონკურსო მასალებს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იყოს მოთავსებული მცირე ზომის კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის დევიზი (კოდი), მასში უნდა მოთავსდეს ავტორის მიერ შესრულებული გერბისა და დროშის ნიმუშები, (სასურველია ავტორმა წარმოადგინოს ნამუშევრების მოკლე ახსნა-განმარტება) და ავტორის პირველი საკონტაქტო ინფორმაცია.

4.5 კონკურში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ გერბისა და დროშის დალუქული კონვერტის მიღებით, რაც იმავდროულად ნიშნავს კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღებას კონკურსში მონაწილის მიერ.

**5. დამატებითი მოთხოვნები.**

5.1 გერბი გამოსახული უნდა იყოს ჰერალდიკურ (ფრანგულ) ფარზე;

5.2 გერბის ფარის ზემოდან მოთავსებული უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამომსახველი ვერცხლის სამ კოშკიანი, ქონგურებიანი გვირგვინი.

5.3 დევიზის ბაფთაზე გამოსახული უნდა იყოს წარწერა ,,ოზურგეთი''.

**6. კონკურსის ჩატარების ვადები.**

6.1 კონკურსი გამოცხადდება 2015 წლის 10 თებერვლიდან.

6.2 კონკურსის ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 20 აპრილი.

6.3 შედეგების გამოცხადება 2015 წლის 30 აპრილი.

**7. გამარჯვებული პროექტისთვის დაწესებული კონკურსის პრემიები.**

7.1 კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია ჰონორარი 3000 ლარი.

**8. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები.**

8.1 გამარჯვებული პროექტი გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

8.2 კონკურსის შედეგები გამოცხადდება საინფორმაციო საშუალებით.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი; მის: ქ.ოზურგეთი. კოსტავას ქ. 1;**

**საკონტაქტო ტელ: 599 98 39 00**
**ელ.ფოსტა: ozurgeTi.sakrebulo@gmail.com. www.ozurgeti.org.ge**
**fb page: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

# 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

**მასალები თანმიმდევრულად იქნება გადმოცემული: პირველი – ანტიკური მსოფლიო (9 მეცნიერი); მეორე – პირველი ათასწლეული (4 მეცნიერი); მესამე – XV საუკუნე (3 მეცნიერი); მეოთხე – XVI საუკუნე (8 მეცნიერი); მეხუთე – XVII საუკუნე (5 მეცნიერი); მეექვსე – XVIII საუკუნე (17 მეცნიერი); მეშვიდე – XIX საუკუნე (19 მეცნიერი); მერვე – XX საუკუნე (35 მეცნიერი).**

**ვიწყებთ თანმიმდევრულად ანტიკური მსოფლიოს მეცნიერთა მოღვაწეობით.**



**1. ანაქსიმანდრე (ჩვ. წთ-მდე 6111-547 წწ.) – ბერძენი ფილოსოფოსი.** მას ეკუთვნის უსასრულობის თეორია. ანაქსიმანდრემ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ასტრონომიას, დახატა პირველი მსოფლიო რუკა, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა გეოგრაფიაში. ანაქსიმანდრეს



ეკუთვნის ალმოჩენა სივრცის იდეისა, ანუ იმ ჭეშმარიტებისა, რომ სამყაროს აქვს სიღრმე.

**2. პითაგორა (ჩვ. წთ-მდე 581-497წწ.) ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.** მას ეკუთვნის გამოკვლევა „ყველა ფიზიკური სხეული – ვარსკვლავები და სამყარო მათემატიკურ ურთიერთკავშირშია. 2000 წლით ადრე ქრისტეფორე კოლუმბამდე სწორედ პითაგორამ შემოგვთავაზა იდეა, რომ დედამიწა მრგვალია.



**3. ჰიპოკრატე ქიოსელი ( ჩვ. წთ-მდე 460-377წწ.).** ჰიპოკრატესათვის ავადმყოფობა და მისი მკურნალობა მთლიანად მიწიერი მოვლენა იყო. მან უარყო ცრურწმენა და მთელი ყურადღება გადაიტანა დაავადე-



ბის ანალიზზე, სიმპტომებსა და მიმდინარეობაზე. ჰიპოკრატემდე ფაქტიურად არავითარი სამედიცინო მეცნიერება არ არსებობდა. ავადმყოფობას მიიჩნევდნენ ღმერთის სასჯელად. სამკურნალოდ იყენებდნენ ზებუნებრივ მეთოდებს, როგორიც იყო მაგია, ჯადოსნობა, ცრურწმენა და რელიგიური რიტუალები.



**4. დემოკრიტე აბდერელი (ჩვ. წთ-მდე 460-370 წწ.).** დემოკრიტე იყო პირველი, ვინც წარმოადგინა ყოვლისმომცველი მტკიცებულება ატომის უპირატესი მნიშვნელობისა სამყაროს შექმნაში. ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილება და შეხედულება აზროვნებაში საგნებთან მიმართებით, რითაც მეცნიერები დღემდე არიან დაკავებულნი.

**5. პლატონი (ჩვ. წთ-მდე 427-357 წწ.) ბერძენი ფილოსოფოსი. 387 წელს პლატონმა** დაარსა აკადემია. შესასვლელში იყო წარწერა „გეომეტრიის არმცოდნე აქ ნუ მოვა“. პლატონი ცნობილია, როგორც დასავლური ტრადიციების ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი. მისი ნაშრომების გავლენამ მოიცვა ისეთი აკადემიური სფეროები, როგორებიცაა განათლება, ლიტერატურა, პოლიტიკური აზრი, ეპისტოლოგია, ესთეტიკა. მეცნიერებისაკენ მიი ლოგიკური მიდგომა, შორსმიმავალი იდეების სწრაფვის საფუძვლიან ანდერძად გვევლინება.

**(გაგრძელება იქნება)**

მოამზადა **გურამ ცერცვაძემ**

(გაგრძელება იქნება)

# საქველმოქმედო ორგანიზაცია „გურიამ“ გაზაფხულის მოსვლა მოგვილოცა

**მარი კოძოევი**



ზეიმი მოაწყვეს და გაზაფხულის შემობრძანება მოგვილოცეს. ქალთა დღესასწაულები, რვა მარტი და დედის დღე კონცერტით აღნიშნეს საქველმოქმედო ორგანიზაცია „გურია“-ს ბენეფიციარებმა.

თავდაპირველად მამა ბასილმა (კვირჩილაძე) კონცერტის მონაწილეები და სტუმრები დალოცა. რის შემდეგაც ღონისძიება მასპინძლებისთვის ჩვეული ლამაზი სიმღერებითა და დედის სიყვარულით გაჟღენთილი ლექსებით გაგრძელდა. კონცერტს საპატიო სტუმრებიც ყავდა 2011 წლის ნიჭიერის გამარჯვებული, ვანო ფიფია და 2015 წლის გამარჯვებული, თემო არაბიძე. როგორც გვითხრეს ვანო და თემო სწორედ ამ ღონისძიებაზე შეხვდნენ პირველად ერთმანეთს. როგორც კონცერტის მონაწილეებმა გვითხრეს მათთვის ღონისძიება განსაკუთრებით ემოციური იყო, რადგან ბოლო ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციის ერთ-ერთი ბენეფიციარი, დათო ჟღენტი გარდაიცვალა მსგავსი ღონისძიება არ მოუწყვიათ.

აღნიშნულ ორგანიზაციაში სიახლე აქვთ. სახელწოდება შეიცვალეს და ამიერიდან საქველმოქმედო ორგანიზაცია „გურია“ ეწოდებათ. ცნობისთვის, ორგანიზაციას აქამდე გურიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი ერქვა.

# ნიკოლოზ ნიკოს ძე მეხუზლა

## ყანის ნადურიდან ტყეში გაჭრილი ფირალი...

**ენვერ გოგუაძე**

„პირველ შეკვეთილ ვივაჭრე, იმან არ მომცა სულია, კონტრაბანტობას ვეჩვიე, ცოტ-ცოტა გეახელია. იმასაც მალე მოვსცილდი, ცოლშვილს მოვკიდე ხელია, ყანის თოხნა რომ დავიწყე, ოფლი დამასხა ცხელია“ (ხალხური) ნიკოლოზ ნიკოს ძე მეხუზლა გურიის მხარეში სახელგანთქმულ და ჯანიან კაცად იყო ცნობილი. საშუალო ტანის ყოფილა „მკვიდრად ნაგები“. „სქელი და დამორგვილი“. კამეჩის ღონე ჰქონდა მუდამ „ძალა ერჩოდა“ და ვერ ზომავდა - ტანში არ ასვენებდა. არც ერთ ადგილზე ხანგრძლივი დგომა - გაჩერება არ შეეძლო და არც დადინჯებული ცხოვრება. საფათერაკო საქმეები ხელზე ადვილად ასდიოდა. მარჯვე იყო და მოხერხებული, თოფ იარაღიც მისი ბუნებისა და ხასიათის შესაფერისი გააჩნდა. სატევარს, ბერდენას, ყამას განუყრელად თან დაატარებდა, მიზანიც კაი ჰქონდა და სამიზნესაც მისი გუნება განწყობილების მიხედვით არჩევდა. შესანიშნავი ნადურის მომახილი იცოდა. კაი ჩაცმა დახურვის მოყვარული იყო იმ დრო და ჟამის შესაფერად. ნაბადი, ჩაქურა, ყაბალახი, წუღა-მესტი დიდებულ შესახედავს ხდიდა მეხუზლას. საბრძოლო - საფათერაკო იარაღების სიყვარულისაგან განსხვავებით „საშრომელი და სამუშაო“ იარაღები სძულდა, განსაკუთრებით გურული გლეხის მუდმივი თანამგზავრი და „მარჩენალი“ თოხი ეჯავრებოდა სიკვდილის დღესავით. „ელექტრონის დროში“ რომ მოსწეოდა სიცოცხლე, ალბათ „სტოლბაზე გადაჯვარედინებულ ძვლებისა და კბილებდაკეჭილი „თავის ქალის ნაცვლად თოხს მიაჭედებდა“: ხელი არ მოკიდოთ სიკვდილს მოიტანსო. თოხი მიაჩნდა კაცის სისხლის გამშრობად, მისი არც სიგრძე მოსწონდა და არც სიგანე, ორთავეს სწუნობდა: თოხის პირსაც და თოხის ტარსაც. ბალკონიდან უნდოდა თოხნა, „სპონიეთამდე“ და ყანის ნადურიც აქედან ეთქვა., „სამი ქცევა“ საყანე ფართობის „ერთი ტკაველი თოხის პირით მორებას“ და მარგლას, ნადის გარეშე „ერი კვირე“ უნდოდა. „გატენილი ბერდანის ფეხის გამოშლას და „კაცის გამოფუშვას“ „ერი მინუთი“. თოხით სიკვდილს თოფით სიკვდილი ერჩივნა. არსთა გამრიგემ მცირეოდენი ხანის გამოხდომის შემდეგ ნატვრაც შესაბამისად აუსრულა. წარმომავლობით გურიანთიდან იყო. გურიაში ყველაზე ძირძველი და ისტორიული სოფლიდან. სოფელ გურიანთის შესატყვისი სახელი გურიას 2700 წლის წინარე პერიოდში იხსენიება თიხის ფირფიტაზე შესრულებულ სადაზვერვო ხასიათის ტექსტში. რომელიც ასურეთის მეფეთა სატახტოს - „ლომთა ბუნაგად“ ხმობილ ნინევოელ მზვერავს აშირისყას განეკუთვნება. აშირისყა მეფეთა-მეფე სარგონსა და უფლისწულ სინაქერობს აუწყებს: „გურიანთა ოლქია კომერიასა და ურარტუს შორის“აკად. ნიკო ბერძენიშვილის განსაზღვრებით: „სახელწოდება ქვეყნისა - „გურია“, სოფლის სახელწოდებიდან - „გურიანთიდან“ მომდინარეობს “გურიის ისტორიული შესწავლა, - გვაუწყებს„ - გურიანთით დაიწყო. ამის საბუთი იყო ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული (მეცნიერება) მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიმუშავდა ამათუ იმ ქვეყნის საკითხში. გვეგულებოდა კერძოდ, რომ ეს კუთხე შეიძლებოდა ყოფილიყო გურიის ქვეყნის წარმოქმნის დედა აკვანი. აქეთ გვეწეოდა ზღვა- ურეკდიუნებით, შეკვეთილით, აქეთვე გვეწეოდა ვაშნარის ნაქალაქარიო და ორი მდინარის სუფსა-ნატანების ხეობათა შუაში მდგომი ციხე. აქეთვე გვეწეოდა ნაკაშიძეთა ძველი გვარის საბუდარი (გვიანი სათავადო ქვეყანა) და ბოლოს მოსაზრებათა ამ კომპლექსს მხარს უჭერდა ეჭვის აღმძვრელის სახელი ამ ქვეყნისა - გურიანთა (გურიამთა)“. ფირალ ნიკოლოზა მეხუზლას სამკვიდრო ქვეყანაში - გურიანთაში იყო „ადამიანთა მოდგმის ბავშვობის“ ნეოლითური სადგომი. ციხისფერდის ღვთისმშობლის ეკლესია, მრავალგზის აკლებული და გაძარცვული ფირალთა თუ მაუზერისტთა მიერ, და გურიის ქვეყნის ქვაკუთხედი„ მისი უძველესი დედაქალაქი - გურიანთის ვაშნარი, 798 წელს რომ შემუსრა სარკინოზთა მხედრობამ „ამირა აგარიანის - მურვან ყრუს სარდლობით“. ნიკოლოზ მეხუზლას ფირალად გავარდნის დრო ჟამს - გასული საუკუნის 90-იან წლებში გურიის ქვეყნის ეს უძველესი კულტურული ცენტრები ფირალთა საუკუთესო თავშესაფარსა და საბუდარს წარმოადგენდა. იმ არეულობისა და სასტიკი ძარცვა-გლეჯის ჟამს მაშინ ძნელად თუ ვინმე შებედავდა აქ. 1904 წლის მონაცემების თანახმად გურიანთის საბოქაულოს ტყიან მასივებში გარეული მხეცები და მაუზერ შემართული ტერორისტები ურთიერთს ეჯიბრებოდნენ ადამიანთა სისხლთა თხევაში. მხეცებმა ოთხი ქალი დაგლიჯეს უმოწყალოდ. ტერორისტებმა 10 კაცი იმსხვერპლეს. 3499.მდგომარეობა მართლაც შემაძრწუნებელი და შემაშფოთებელი იყო. მხეცები სჯობდნენ კეთილმოსაობაში მაუზერშემართულ ტერორისტებს ნიკოლოზ მეხუზლას „ზეობის ხანაში“ გურიანთის ქვეყანა გურიანთის საბოქაულოდ იწოდებოდა. იგი მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას. 1886 წლის მონაცემებით, გურიანთის საბოქაულო შედგებოდა შვიდი სოფლის საზოგადოებისაგან, მასში გაერთიანებული იყო 29 დასახელების მნიშვნელოვნად დასახლებული პუნქტი საბოქაულოს საერთო ფართობი შეადგენდა 62-618 დესეტინას .მოსახლეობის რიცხვი მოითვლიდა 20862 სულს. კომლთა საერთო რაოდენობა 31335 ერთეულს. თითოეულ ოჯახში ცხოვრობდა დაახლოებით 7 სული. 3500.სოფელი გურიანთა ნაკაშიძეთა „ძველი თავადთა გვარის“ საგამგეოს წარმოადგენდა. ნაკაშიძეები XV საუკუნიდან გამოჩნდნენ აქ. მათი პირველი წარმომადგენელი მამუკა ნაკაშიძე იყო, შემდგომ ბეჟანი და გიორგი. ნაკაშიძეებმა ალაშენებს ციხისფერდის ღვთისმშობლის ეკლესია. 350 წლის წინარე პერიოდში საფუძველი ჩაუყარეს ამ ეკლესიაში კალიგრაფოსთა-გადამწერთა თვალსაჩინო „სკოლის თაბენთა საზოგადოებას“. აქ დაიწერა ციხის (გურიანთის) სახელგანთქმული გულანი. აქვე იშვა წიგნი საკვირველი - შემოქმედის გულანი. იგი მოითვლიდა 2004 გვერდს. 1500 მინიატურას. იყო ნახევარი მეტრის სიმაღლის. ხუთი გადამწერი წერდა მას აბსოლუტურად ერთიანი კალიგრაფიით 18 წლის განმავლობაში. წელიწადში იწერებოდა 118 გვერდი. იწონიდა ზუსტად ორ ფუთს. ნაკაშიძეთა კახურ-გურიანთის სათავადოში შედიოდა შვიდი სოფელი: გურიანთა, ვაშნარი, ციხისფერდი, ჭანიეთური გამოღმა ბაილეთი, ახალსოფელი,მაკვანეთი.ნაკაშიძეები ყმამამულს ფლობდნენ ჩოჩხათის, ზედ-



უბანს, ლანჩხუთს, გოგორეთს, ასკანას, სარაულს, ოქროსქედს, დვაბზუს, ვაკიჯვარსა და გამოჩინებელს.

ნაკაშიძეთა ხელში იყო ვრცელი ტყეები ძვირფასი ჯიშის ხეებით მდინარე ნატანების ქვემო წელზე. მათ საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა ციხისფერდი, საზამთრო სადგომს ვაშნარის ნაქალაქარი.აქვე იყო მათი კუთვნილი გურიანთის ციხე კლდე გორასა ზედა შენი, და მათი საგვარეულო ეკლესია აგებული ღვთისმშობლის სახელზე. ნაკაშიძეების ყმაგლეხები იყვნენ: კვაჭაძეები, ტოტოჩავები, არობელიძეები, სურგულაძეები, კვერღელიძეები, ჩიკაშუა, ქადეიშვილები, მენთაძეები, ხავთასები, ებრალიძეები, ცხომელიძეები, დოლიძეები, სვანიძეები, სიორიძეები, ღლონტები, ჩანჩიბაძეები, ჩხაიძეები, ხელაძეები, ლომჯარიები, მონაზონის (მალაზონია). ჟღენტი, გოგოტიშვილები, მუჯირი, ოთხმეზური, ცისკარიძეები, თავაძეები, ჩიტაიშვილები, გუჯაბიძეები..

**(გაგრძელება იქნება)**

# ზნეობრივი ნორმების ფარდობითობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

ზნეობრივი ნორმა — სიკეთის საკითხი, როგორც სხვა ზნეობრივი ნორმები, ფარდობითია, რადგან დამოკიდებულია ადამიანებსა და შექმნილ გარემოებაზე. ტარიელმა დიდი სიკეთე მიაგო ფარსადან მეფეს, როცა ინდოეთისაგან განდგომილი ინდოეთის მორჩილი ხატაეთის სამეფო კვლავ მორჩილი გახადა და დიდი განძი შესძინა ინდოეთის სახელმწიფოს. ამ დიდი სამსახურისთვის ფარსადან მეფემ მხოლოდ ასი საჭურჭლე აჩუქა ტარიელს. ამის შემდეგ ფარსადან მეფეს დაეუფლა ბოროტი განზრახვა - წაერთმია ტახტის მემკვიდრეობის უფლება ტარიელისთვის. ადრე ფარსადან მეფეს შვილი არ ჰყავდა და ინდოეთს შემოერთებულ დამოუკიდებელ მეფეს სარიდანს, რომელმაც მისი დამოუკიდებელი მე-7 სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა ფარსადანის სამეფოს, სთხოვა ეშვილებინა მცირეწლოვანი ტარიელი, რომელიც უნდა გაეზარდა ფარსადანს ინდოეთის მეფედ:

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,

საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,

ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;“

(სტროფი 319, ტაეპი - 1,2,3)

როცა ტარიელი ხუთი წლისა გახდა, დედოფალმა შვა ქალი, რომელსაც ნესტან-დარეჯანი შეარქვეს. ნესტანისა და ტარიელის სიყვარულზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წინა წერილში, როცა ნესტანი ზრდასრული გახდა, ფარსადანმა გადაწყვიტა, სიძედ მოეყვანა სპარსეთის მეფის შვილი ხვარაზმშა:

ტარიელი იხმეს მეფესთან თათბირზე. ტარიელს იქ დახვდა მეფე, დედოფალი და სამი ვაზირი. ფარსადან მეფემ ასე განუცხადა ტარიელს:

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,

რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,

სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,

არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმაალი ჩვენთვის არ ვამახოთ“. (სტრ. 509)

ჯერ ერთი: ვინ უნდა ეპოვათ ტარიელზე უკეთესი ხელმწიფე ან მებრძოლი - ეს გაუგებარია. ტარიელმა ხომ მიიღო სახელმწიფოს მართვისა და სამხედრო განათლება თავისი მასწავლებლებისაგან. გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა დიდი ნიჭით, ფიზიკური ძალით. როგორც ჩანს, ფარსადან მეფეს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. სავარაუდოა შემდეგი: ისტორიიდან ცნობილია, რომ მეფის ვაჟებს ჰქონდათ თავიანთი საუფლისწულო და საგანძური. თუ მეფის ვაჟი სხვა ქვეყნის ვაჟის ზედსიძე გახდებოდა, მისი საუფლისწულო უერთდებოდა ამ ქვეყანას და თავისი საგანძური თან მიჰქონდა. ეს თათბირი ტარიელისთვის მოულოდნელი იყო და ვერ შეძლო ფარსადან მეფისთვის ეთქვა: თვითონ ტარიელი იყო ტახტის მემკვიდრე და ინდოეთში სხვა მეფე ვერ დაჯდებოდა.

ამრიგად, სარიდან მეფის სიკეთემ - თავისი დამოუკიდებელი სამეფო ნებაყოფლობით რომ შეუერთა ფარსადანის სამეფოს, ბოროტება მოუტანა ტარიელსა და ნესტანს. სარიდანს ნებაყოფლობით რომ არ შეერთებინა მე-7 დამოუკიდებელი სამეფო ფარსადანის სამეფოსათვის, მაშინ თვით ფარსადან მეფე მოიწვევდა ტარიელს ზედსიძედ, რადგან ამით ინდოეთი ერთიანდებოდა. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ არის სხვა მაგალითიც, სიკეთე რომ ბოროტების მიზეზი ხდება: როცა ფატმანის ქმარმა - ვაჭართა უხუცესმა უსენმა ფიცი გატეხა და ზღვათა სამეფოს მეფეს შვილის საცოლედ შესთავაზა ნესტანი. მეფემ ბრძანა სამეფო დარბაზში მოეყვანათ ნესტან-დარეჯანი. ფატმანის სახლს ზღვათა მეფის გამოგზავნილი მონათა უხუცესი 60 მონის თანხლებით. ფატმანი შეწუხდა, მაგრამ იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მეფის ბრძანებას.

ნესტანმა ფატმანს გაატანა ძვირფასი განძი:

„თვალ-მარგალიტი ავილე, რაც ოდენ ამელებოდა,

თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა,

მივე, მას წელთა შევარტყი: შავ-გული ვისთვის კვდებოდა“. (სტრ. 1177)

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველებმა იციან: ნესტანმა ამ განძით მოისყიდა მისი მცველი საჭურისები და გაიპარა ზღვათა მეფის სამეფო კარიდან. საჭურისებიც გაიპარნენ. ნესტანი ფატმანთან მივიდა, ცხენი თხოვა და ამ ცხენით გავიდა მინდვრად, სადაც იგი ქაჯებმა შეიპყრეს და რომ არ გაპარულიყო, ჩასვეს ქაჯეთის ციხეში.

ამრიგად, ფატმანის მიერ გაწეულმა დიდმა სიკეთემ დიდი ბოროტება მოიტანა. აქედან მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნა შეიძლება: ყველა ზნეობრივი ნორმა ფარდობითია და არა აბსოლუტური. მათი ავ-კარგიანობა დამოკიდებულია ადამიანებსა და შექმნილ გარემოებაზე. ის, რაც რაიმეზე დამოკიდებულია, არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, რადგან აბსოლუტური არაფერი არ არის დამოკიდებული. დღეს ყველა ადამიანმა იცის, სამყარო უსასრულო რომ არის და იგი აბსოლუტურია. მაგრამ ისმის ერთი თითქოს პასუხგაუცემელი კითხვა: სამყარო უსასრულოა, მაგრამ რაც არის, იმაზე მეტი ხომ არ არის? ამ კითხვას თითქოს გამოუვალ ჩიხში შევყავართ: მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან თვითონ კითხვაა უმართებულო უსასრულობის მიმართ, ვინაიდან უსასრულობაზე მეტი არაფერი არ არსებობს. ის იმიტომაა უსასრულობა, რომ მასზე მეტი არაფერია. აღნიშნული კითხვა ისმის მხოლოდ სასრულო ობიექტების მიმართ. გარდა ამისა, ზემოთ დასმულ კითხვას შეიძლება დავუსვათ მისი საწინააღმდეგო კითხვა: რა უნდა იყოს იმაზე მეტი, რასაც არც დასასრული და არც დასაწყისი არ გააჩნია მისი დასაწყისიც უსასრულოა.

ახლა განვიხილოთ სიმართლის, ანუ მართალი აზრის საკითხი, ანუ ჭეშმარიტების ცნება, რომელიც ფარდობითი ცნებაა. დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს მიაჩნდათ, რომ დედამიწა ბრტყელი იყო. ეს იმ დროს ჭეშმარიტებად, ანუ სწორ შეხედულებად ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ მეცნიერულად დადასტურდა, რომ დედამიწა სფეროსებურია. ანტიკური ეპოქის ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ მეცნიერებაში შემოიტანა ატომის ცნება, რომელიც ორიათასზე მეტი წლის განმავლობაში მატერიის უმცირეს და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ატომი არ არის მატერიის უმცირესი ნაწილაკი. იგი იყოფა პროტონებად, ნეიტრონებად და ელექტრონებად. ამრიგად, ჭეშმარიტება ფარდობითი ცნებაა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაადასტურა მეცნიერულმა გამოკვლევებმა.

მათემატიკური გაანგარიშებები თეორიულად ყველაზე ზუსტია ან მიახლოებითი. მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში შედეგი განსხვავებულია. ავიღოთ ყველაზე მარტივი მაგალითი:

სპორტსმენი ათ წამში 100 მეტრს გარბის. თეორიული გაანგარიშებით მან ერთ წუთში 600 მეტრი უნდა გაირბინოს, მაგრამ ამას იგი ვერ შეძლებს, რადგან დაიღლება და ყოველ ათ წამში ვერ შეძლებს ასი მეტრის გარბენას.

ამრიგად მათემატიკური გაანგარიშებები პრაქტიკაში ფარდობით შედეგს გვაძლევენ.

**ვახტანგ ჩხარტიშვილი.**

# სკანვორდი




# წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ალექსანდრე პუშკინი; კრიმანჭული — იოდლი; ბოთლის ჭიქა — ჯინი; პლანეტა — ნეპტუნი; რუსული ავტომობილი — ნივა; ზუზი — ლარი; ... აღმაშენებელი — დავითი; წუთისოფელი — საწუთრო; სასაკლაო — ბოინი; მდინარე რუსეთში — დონი; დაბა ახალციხეში — აწყური; წელზე შემოდგმული ხელი — დოინჯი; პატარა ჭური — დერგი; ირმის თავდასაცავი იარაღი — რქა; ურჯულო თათრულად — გიაური; მთავარსარდალი — სპასპეტი; ყარაული — დარაჯი; დაქირავებული ჯარი — როქის სპა; მცირე სკამლოგინი — საკარცხული; მდინარე ჩინეთში — იანძი; საბრძოლო და სპორტული იარაღი — შუბი; ნაბიჯი ცეკვაში — პა; ნოტი — რე; დიდი ისტორიული მონაკვეთი — ერა; ძეხვეულის სახეობა — სოსისი; ღვინისა და არყის გამყიდველი ვაჭარი — სირაჯი; გაბაშვილის კლიჩკა — გოკა; ყველაზე მაღალი კარტი — ტუზი; შენ რუსულად — ტი; თამაშის ჩაკეტვა დომინოში — რიბა; სოფელ მაკვანეთში გავრცელებული გვარი — გოი; ვიწრო შარვალი — რეიტუზი; საპყარი — ხეიბარი.

# პენსიონერთა გადარჩენის ერთ-ერთი გზა

## ბიზნესმენებმა გარკვეული თანხები გაიღონ მათ დასახმარებლად, მაღალანაზღაურებად ადგილებზე მომუშავეებმა კი ხელფასიდან გადარიცხონ განაკვეთის 1 % ყოველთვიურად

ჩვენ ერთმანეთისთვის უნდა ვიზრუნოთ! ეს იყო ძირითადი სლოგანი პენსიონერთა კავშირის მეოთხე ყრილობისა. ამ წერილის მთავარი შინაარსი და დანიშნულებაც სწორედ ესაა.

ქართველი ხალხი ძნელად ეგუება იმედგაცრუებას სიყალბესა და უსამართლობას. ეს ანბანური ჭეშმარიტება ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა საქართველოს სამივე პრეზიდენტისათვის და შედეგიც შესაბამისი იყო. სამივე მათგანი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაემშვიდობა პრეზიდენტის სავარძელს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვა არის აზრის ენერგიით გამოხატვა, ენერგიას კი მიზანმიმართული წარმართვა სჭირდება.

მინდა შევეხო მტკივნეულ საკითხებს, რომელთა შესახებ სხვადასხვა სოფლიდან პენსიონერები თავიანთ მოსაზრებებს მაწვდიან. მოთხოვნათა 95% პენსიათა გაზრდის საკითხებს შეეხება.

დღევანდელი ლარის კურსის მიხედვით, პენსია უნდა განისაზღვრებოდეს 250-270 ლარის ოდენობით და მეტადაც, რომ დააკმაყოფილოს მოზრდილი მამაკაცის სასურსათო კალათა-2500 კილოკალორია. ცილებზე, ცხიმებზე, ნახშირწყლებზე, ვიტამინებსა და სხვა ნივთიერებაზე გათვლით. პენსიისა და დახმარებების გაზრდის საშუალება ამჟამად ქვეყანას არა აქვს საშინაო და საგარეო პრობლემების გამო. არც უნდა გვიკვირდეს. კეთდება ძალიან ბევრი რამ, რომელიც ეტაპობრივად გამოიწვევს ეკონომიკის ამაღლებას და შესაბამისად პენსიათა ზრდასაც. მაგრამ რეზერვების მოუძიებლობაც არ ივარგებს.

ერთი ცოცხალი მაგალითი უნდა შეგახსენოთ. არც თუ შორეულ წარსულში, როდესაც იმერეთის კოლმეურნეობებს ეკონომიკურად ძლიერ უჭირდათ, შემუშავდა პროგრამა (მეც გახლდით მისი ერთ-ერთი მონაწილე), რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის რაიონებში დამზადებული ყოველი კილოგრამი ჩაიდან და ციტრუსიდან მათ გადაერიცხებოდათ მაშინდელი ერთი კაპიკი. ამ თანხით იმერეთის ზონამ სული მოითქვა და მოკლე პერიოდში ამ დახმარებას აღარ საჭიროებდა. ამ მაგალითის მოყვანა დამჭირდა იმისათვის, რომ სადღეისოდ გურიაში მცხოვრებ (26 ათასზე მეტი) პენსიონერებს ძალიან უჭირთ. არის აქაც გამოსავალი, თუ ადამიანები კეთილ ნებას გამოიჩენენ, კერძოდ: 1) გურულთა წიაღიდან გამოსულმა ბიზნესმენებმა გარკვეული თანხები უნდა გაიღონ მათ დასახმარებლად. 2) ყოველმა გულმართალმა, სათნოებით შემკულმა მაღალანაზღაურებად ადგილებზე მომუშავეებმა ხელფასიდან გადარიცხონ განაკვეთის 1 პროცენტი ყოველთვიურად. ეს მათთვის დიდი დანაკლისი არ იქნება, პენსიონერთათვის კი უდიდესი დახმარების მატარებელია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი გადარჩენის ერთ-ერთი გზაა.

პენსიონერებს ამით გულგატეხილობა მოეხსნებათ და მათ მიერ არჩეული ხელმძღვანელობისადმი ნდობას კიდევ განამტკიცებენ.

დახმარების ასეთი ფორმა სადღეისოდ არა მარტო გურიაში, არამედ რეგიონებშიც მაგალითად უნდა იქცეს. წინასწარ მადლობას ვუხდი, გუბერნატორს სოფლების თემთა გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარესა და ქალაქის მერს ანგარიშგაწევისა და დახმარებისათვის.

**გურამ ცერცვაძე,**

გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

## ხსოვნა

### ნიკუშა მახარაძე

გაუსაძლისია ტკივილი ჩვენი ოჯახისთვის რომელსაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლით ვატარებთ.

გვიმძიმს უშენობა...

7 წელი შვიდმაგი ტკივილითა და მდუმარებით გავლიეთ, შვილო.

ვაი შენს მშობლებს, რომ ჩვენისად მაყურებელი თვალი დაგვიბრმავდა და ვეღარც შენისად მაყურებლით დავდივართ ამქვეყნად. შენმა არყოფნამ დააბნელა ჩვენთვის ყველაფერი.

გვასწავლე, როგორ გავუმკლავდეთ უშენობის დარდსა და ნაღველს, მე, მამაშენი და შენი მეუღლე...

გვირჩიე, 7 წელმა ასე რომ გაგვტეხა სულიერად, იმ დროს როგორღა გავუძლოთ, რაც განგებით გვაქვს დაწესებული!

გზა გვიჩვენე, რომლითაც მე, მამაშენმა და შენმა ცოლმა უნდა ვიაროთ ამ ტკივილით, გაუტანლობით სავსე სამყაროში. 7 წელია, ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გავცვითეთ - შენი საფლავისკენ მომავალი გზა.

მადლობა უფალს - შენი საბა 11 წლისაა, უკვე ხშირად მოდის შენს საფლავთან და თვალცრემლიანი გინთებს სანთლებს... ხშირად გიგონებს...

ბათურას კი დააკლდა მამის ხელი, სიმკაცრე და მზრუნველობა...

ეს მარტი აუტანელს ხდის. ვინ იცის, როდის გნახავ, როდის ჩაგიკრავ გულში, ჩემო,



ჩემო მონატრებულო შვილო?

შენ ხომ მარტი ძალიან გიყვარდა. შენი შვილის საბასა და შენი დის მაცაცოს დაბადების თვეა.

ნათელში იყავი, ჩემო ნიკუშა, ჩემო ლამაზო და დაუვიწყარო ბიჭო!

**შენი ოჯახი.**

### ნონა მამულაიშვილი

„დამწუხრებული მოდიან,
ხალხის ზღვას ბოლო არ უჩანს,
ერთი ლამაზი სიცოცხლე
დააკლდა ქალაქს, შენს ქუჩას“.

ეს სიტყვები ერთი პატარა ამონარიდია იმ სტრიქონებიდან, რომელიც შენს გარდაცვალებას უძღვნა პოეტმა ნოდარ დონაძემ და, მართლაც, შვილო ნონი, შენ დააკლდი ყველას, ვინც შენ გიცნობდა. დააკლდი მეუღლე რეზოს და ერთადერთ შვილს ბექას, რომელმაც შენს გარეშე ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება და მესამე კურსიდან გამოვიდა, ასევე დააკლდი ძმას, დას, ძმისშვილს, დისშვილებს, რომელთათვისაც არაფერს იშურებდი და მუდამ იმის ცდაში იყავი, რა პატივი გეცა მათთვის.

განსაკუთრებით მძიმე დარჩა უშენობა ჩემთვის, ჩვენ ხომ ერთი ინსტიტუტი დავამთავრეთ, სპეციალობაც ერთი გვქონდა, 18 წელი კოლმეურნეობაშიც ერთად ვიმუშავეთ, სამუშაო ოთახიც ერთი გვქონდა, ერთადაც ვმღეროდით, სადაც საჭირო იყო. განსაკუთრებით გიყვარდა ქალთა დღე 8 მარტი, რომელსაც, მეგობრებთან ერთად, განსაკუთრებულად აღნიშნავდი, მაგრამ რაიონული საავადმყოფოს ზოგიერთი ექიმის (არ მინდა გვარი ვახსენო მისი) უსულგულო დამოკიდებულებით, სწორედ 8 მარტს მოგესწრაფა სიცოცხლე, რომელიც უსაშველოდ გწყუროდა შენს ახალშექმნილ ოჯახში.

ბავშვობიდან მომადლებული გქონდა თანდაყოლილი მუსიკალური ნიჭი. იყავი სოფლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ვლადიმერ ერქომაიშვილი) წამყვანი სოლისტი, მღეროდი სოფლის „ტრიოშიც“, როინი



თევდორაძესა და ოთარ კილურაძესთან ერთად. მიღებული გქონდა მრავალი ჯილდო და პრიზი. ახლა ვიდეოთი გიყურებ და ვისმენ შენს სიმღერებს და თითქოს ჩვენთან ხარ, მაგრამ ხომ ვერასდროს დაგვიბრუნდები.

უსაშველოდ მენატრები, გკოცნი ბევრს.

**მამა ამირანი.**

### ამირან ვაშაყმაძის გახსენება

რა უცებ გავიდა დარდიანი, სევდიანი, ცრემლიანი 40 დღე.

ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმ მწუხარებისა, რაც შენმა გარდაცვალებამ მოგვაყენა. გვიჭირს იმის შეგუება, რომ აღარ ხარ.

ბედნიერი კაცი იყავი, ლამაზი და თბილი ოჯახი გქონდა. ხომ ძალიან, ძალიან გიყვარდა შვილები, შვილიშვილები, სიძე, ძმა, ძმიშვილები, ყველა შენი ახლობელი. იყავი ძალიან კეთილი სტუმართმოყვარე.

წლების მანძილზე მუშაობდი თანამდებობებზე, შენი ცხოვრება შრომასა და სიკეთის კეთებაში გაატარე.

მოგვენატრა შენი სითბო, ალერსი და საუბარი.

ვინც გიცნობდა, ყველა სითბოთი და სიყვარულით გაგიხსენებს.

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

**ოჯახი.**



### გიორგი კეჭაღმაძე

ოზურგეთის ღვაწლმოსილი ადამიანის რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მწერალი და პედაგოგი გიორგი კეჭაღმაძე. იგი სოფელ ნაღობილევში დაიბადა. ბავშვობიდანვე იწვნია უმამობით გამოწვეული ტკივილი. ოჯახის თავკაცობა დედამ იკისრა და მამულს სამი ღირსეული ადამიანი აღუზარდა. ერთ-ერთი მათგანი ბატონი გიორგი გახლდათ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უმაღლესში განაგრძო და მშობლიურ კუთხეს გერმანული ენის მასწავლებლად დაუბრუნდა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა ასპინძის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში დაიწყო. მერე კი, მშობლიურ სკოლაში დაფუძნებული, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ემსახურებოდა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს. გერმანულის სწავლებასთან ერთად, იგი მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარულსაც უნერგავდა ბავშვებს. ქართულ სიტყვასა და ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული თავადაც ქმნიდა უკვდავ ქმნილებებს. მისი მოთხრობების მთავარი გმირები ის გოგო-ბიჭები არიან, რომლებთანაც ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, დამსახურებული პედაგოგი, უბადლო მეუღლე, მამა და ბაბუა. წავიდა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი და სიცარიელე.

მშობლიური ნაღობილევის მიწამ მიიბარა იგი, მაგრამ სიცოცხლეშივე უკვდავყოფილი



მარად იცოცხლებს იმ ადამიანების გულში, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობის ბედნიერება.

**მერიის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირი.**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ურეკის საჯარო სკოლის პედაგოგს მანანა კეჭაყმაძეს და ნაღობილევის საბავშო ბაღის აღმზრდელს ნათელა ჭინჭარაულს უსაყვარლესი ძმის და მეუღლის, ღვაწლმოსული პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **გიორგი კეჭაღმაძის** გარდაცვალების გამო.

### ნოშრევან დუმბაძე

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დატოვე წუთისოფელი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი, სევდა და მონატრება.

ძნელია ისაუბრო იმ ადამიანზე, რომელიც მეგობრობის, მეზობლობის, ოჯახისა და მოყვასის სიყვარულის უზომო ხელოვნებას ფლობდა და ბოლომდე დაიხარჯა.

სადაც კი მუშაობდა, ყველგან პირნათლად ასრულებდა მის მოვალეობას. შემოქმედის კოლმეურნეობა, ტრესტი „კულტყოფრემშენი,“ რომლებთანაც წლები აკავშირებდა.

სოფ. შემოქმედში (გორისფერდი), ლამაზ ეზო-კარმიდამოს მისი მზრუნველი ხელი კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. მზრუნველი მეუღლე და მამა იყო, ქალბატონ ჯულიეტა ჯინჭარაძესთან ერთად შვილებზე და შვილიშვილებზე „გადამკვდარი.“ ნინო, სოსო, სიძე ილო რუსიძე, შვილიშვილები გოგა და ქეთინო -ეს იყო მისი მთავარი სიმდიდრე. საამაყო ნამდვილად ჰქონდა- მათი კარგი კაცობა და ქალობა. ამიტომაც იყო ძალიან განიცადეს მისი ოჯახის წევრებმა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მზრუნველი მამისა და ბაბუას ნაადრევი გარდაცვალება. ნოშრევანი 75 წლის იყო.

ახლა, როცა იგი აღარაა ჩვენს გვერდით კიდევ უფრო ვგრძნობთ, როგორი ადამიანი



დავკარგეთ. ნუგეშად მისი ნაკეთები საქმეები და ცხოვრების წესი გვრჩება, რაც იმის იმედს გვაძლებს, რომ იგი სამუდამო საუფლის ბინადარი გახდება.

**ახლობლები.**

### დათო (ხიპიშა) ცხომელიძის გახსენება

ჩემო დათო, გილოცავთ დაბადების დღეს, რომელსაც უკვე მეშვიდე წელია უშენოდ ვხდებით შენს საფლავთან ყველა შენიანები, ცრემლიანი თვალებით, დიდი ტკივილით. შენი ახლობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები, ვიხსენებთ შენთან ერთად გატარებულ ლამაზ დღეებს; შენი ლამაზი ვაჟკაცი დღითი-დღე მშვენდება და გემსგავსება, რაც ძალიან გვახარებს. მადლობა შენ, რომ დაგვიტოვე ეს დიდი საჩუქარი და შენს სიყვარულს ვუზიარებთ მას და ვეფერებით.

„ჩემს სულს მოგცემდი,
ერთხელ კიდევ შენ რომ გესუნთქა,
ჩემს გულს მოგცემდი,
ცოტახანს კიდევ შენ რომ გეცოცხლა,
სიცოცხლეს დაგითმობდი,
შენ რომ კიდევ ამ ქვეყნად გევლო,
ბედნიერება, სიყვარული დიდხანს რომ გეგრძნო.“

ვაი, რომ ძალიან ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე, ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

**მშობლები, ნელი და შოთა ცხომელიძეები.**

# სიყვარული ვერტიკალურია, თანაც ბრუნვადი!!!

ქეთი ბოლქვაძე



სიყვარულის ვერტიკალურობა და ბრუნვადობა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის VII-3 კლასის მოსწავლეებმა დაამტკიცეს სკოლის დარბაზის მომცრო სცენაზე სახელდახელოდ გამართული სპექტაკლით „სიყვარული — სიყვარულით სიყვარულისთვის".

სიყვარულზე შექმნილი ქართული კლასიკური კინოფილმების სიუჟეტური ქარგებიდან ორიგინალურად გაკეთებული სცენარი შემოქმედებითად მაღალ დონეზე გაასცენიურეს ნორჩმა მსახიობებმა. მათ თანატოლ მაყურებლებს, ასევე მშობლებს და პედაგოგებს შესაძლებლობა ქონდათ, საათზე მეტი ხნის განმავლობაში თვალი ედევნებიათ სოსოიასა და ხატიასთვის, ქეთოსა და კოტესთვის, ზურიკელასა და მერისთვის, მარიტასა და გედიასთვის, ფუფალასა და ციციკორესთვისაც ...

მოკლედ ქართული სიტყვა ზეიმობდა სცენაზე.

მთავარი სიურპრიზი ბავშვებსაც და მაყურებლებსაც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ელოდა, როცა სცენაზე წარმოდგენის სცენარისტი და დამდგმელი რეჟისორი ქეთევან მახნიაშვილი გამოვიდა, რომელმაც გაამხილა, რომ ეს სპექტაკლი თავისი დაბადების 50 წელს მიუძღვნა.

„რომ დავიბადე მაშინაც ახალგაზრდა ვიყავი, ახალგაზრდობაშიც ახალგაზრდა დავრჩი და დღესაც, როცა 50 წელი შემისრულდა, ახალგაზრდა ვარ. ამაზე უკეთეს საჩუქარს ჩემს თავს ვერაფერს მოვუმზადებდი. მიხარია და მიყვარხართ. დიახ, სიყვარული ვერტიკალურია, თანაც ბრუნვადი! " —ჰაეროვანი ამბორი გაუგზავნა იუბილარმა დარბაზს.



*სსიპ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მშობლები*

*ულოცავენ სახელოვან იუბილარს სკოლის დიდ მეგობარს და გულშემატკივარს აკადემიკოსს ვალერიან ცანავას. უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მშვიდობას.*

ქეთევან ქადიეშვილი

*გაზეთ „ალიონის" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ქ. ოზურგეთის კოლორიტულ ქალბატონს, ჩვენი გაზეთის ერთგულ ხელმომწერს ქალბატონ* ***ნანი მეჯავანაძეს.***

*უსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიხარულს და ბედნიერებას.*



# რომ გათენდება დილა მზიანი....

საქართველო უძველესი კულტურისა და გმირული წარსულის ქვეყანაა. ეს იმითაა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

სოფელი ზოტი გურიის რეგიონში ყველაზე მაღალმთიანი მჭიდროდ დასახლებული სოფელია. აქ ასიოდე წლის წინ ღორჯომის ხეობიდან 12 ოჯახი გადმოვიდა და ნასოფლარი ააღორძინა. მიუხედავად გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დიდი მიგრაციისა, როცა არაერთი ოჯახი ზოტიდან ბარში, ძირითადად დაბა ნასაკირალში დასახლდა, დღეს სოფელში 400 კომლია 1200 მცხოვრებით.

სოფელი ქვეყნის პოლიტიკის ნაწილია. ზოტშიც იგივე პროცესები ხდებოდა, რაც ქვეყანაში.

კარგად მახსოვს ნიკიტა ხრუშოვის ახირება, გლეხებს ერთ ძროხაზე მეტი რომ არ უნდა ჰყოლოდათ. მაშინ მთის სოფლები ჩვენი სოფლის საამაყო კაცის რეჯებ ართმელაძის გონებამახვილობამ იხსნა.

კარგად გვახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლები, ნანატრ თავისუფლებას, როგორი ნგრევის წლები მოჰყვა. როდესაც მთის მოსახლეობა გაორმაგებულ შრომას ეწეოდა, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქტი ბარის მოსახლეობისთვის მიეწოდებინა და თავადაც თავი გადაერჩინა.

არას ვამბობთ იმ 9 წელზე, როცა სოფელი ძირითადად მთავრობის დაპირებებით ცხოვრობდა, არ გვეღირსა მათ მოსვლამდე გადაწყვეტილი სოფლის საჯარო სკოლის ახალი შენობის აგება, რამაც მიგრაციული პროცესი გააძლიერა და არაერთი ზოტელი ბარის სოფლებში გადავიდა საცხოვრებლად (გელენიძის საგმირო საქმეები გავიხსენოთ ზოტში, რომელსაც გაზეთი „ალიონი" აშუქებდა).

ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება 2011 წელს ხელისუფლებაში მოსვლაზე ზღაპარივით ჩანდა



„ნაციონალების" ბატონობის პერიოდში, მაგრამ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" „ძლევაი საკვირველი" მოახდინა და დაამარცხა დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში.

მინდა გაზეთ „ალიონის" მკითხველებს გავაცნო თუ რა გაკეთდა „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ:

პირველი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მაღალმთიანი სოფლისთვის, ეს სამედიცინო მომსახურების მოგვარებაა. სოფელს ემსახურება ექიმი ელისო სიხარულიძე. ქალბატონი ელისო ზამთრში მთაშიც სტუმრობს აქაურ მოსახლეობას. რამდენჯერმე ჩატარდა აქცია და პაციენტებს უფასოდ დაურიგდათ საჭირო მედიკამენტები.

ასევე სოფლისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პროექტია საბავშვო ბაგაბაღის კაპიტალური შენობის აგება, რომელიც აპრილში შევა ექსპლუატაციაში.

„ქართულმა ოცნებამ" გადაგვიწყვიტა დიდი ხნის ოცნება და მალე დაიწყება სოფლის საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა. საბავშვო ბაღის და სკოლის მშენებლობა ახალგაზრდა წყვილებს იმის იმედს აძლევს, რომ სოფელში ცხოვრება გაგრძელდება.

ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის მდ. მყვირალაზე (მდ. გუბაზეულის შენაკადი) ახალი ჰესის მშენებლობა.

სოფლის 5 მცხოვრებმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ულ-ეველა" ჩამოაყალიბა, რომლის იდეა მესაქონლეობის განვითარება, საკვების მოპოვება და რძის გადამამუშავებელი მიკროქარხნის აგება იქნება. კოოპერატივში მთელი სოფელი ჩაებმება.

ასევე მინდა სოფლის სულიერ ცხოვრებაზეც მოგითხროთ ორიოდ სიტყვით: სოფელში ორი ჯამეა, სადაც ადგილობრივი იმამი ჯემალ ართმელაძე მოღვაწეობს. დღესასწაულებზე ბათუმიდანაც ამოდიან სასულიერო პირები.

ზოტელები იმედოვნებენ, რომ სოფლის მოსახლეობა რაოდენობრივად მოიმატებს, ეკონომიკაც გაძლიერდება. აქაურ მოსახლეობას სწამს ერთი, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდს ის განანათლებს."

**ნევრიზ მიქელაძე,**

სოფ. ზოტის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

# "ეს იყო საოცარი ესთეტიკა, ქალის ხელი ეტყობოდა ყველაფერს"

ნინო ნიკოლაიშვილი

იყვავილეს გაზაფხულის ყვავილებმა, ფერები თანდათან ეფერება ბუნებას. დედისა და ქალთა დღეებმა განსაკუთრებულად ხიბლიანი გახადეს 3 და 8 მარტი. გაზაფხულმა თავისი პეწი შემატა ირგვლივ ყოველივეს. ბუნების მშვენიერების ზეიმს ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრი სურათების გალერეა შეუერთდა ბათუმში მოღვაწე მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენით და დედის დღე და გაზაფხული მიულოცეს ქალბატონებს. სტუმრები ბათუმელ მხატვარ ქალთა შემოქმედებით ჯგუფის წევრები არიან.

ქეთევან ვაჩეიშვილის, მაია ჭყონიას, ქეთევან ფილიპოვას, მარიკა კვაჭაძის, თამთა დარჩიას, დიანა თალაკვაძის ნამუშევრებმა მოხიბლა ოზურგეთელი მაყურებელი. ფერთა შეთანაწყობა, და თემატური მრავალფეროვნება: ფერწერამ, კომპოზიციამ, მინიატურამ, აპლიკაციებმა, თეატრალურმა ესკიზებმა დაამშვენეს დარბაზი.

ოზურგეთელ დამთვალიერებელს განსაკუთრებული მოთხოვნები გააჩნია. რადგან ორ ათეულ წელზე მეტია აქ როგორც ადგილობრივ, ასევე არაერთ ცნობილ მხატვართა მაღალი დონის გამოფენების ტრადიცია დამკვიდრდა.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გახსნა. გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა ქალბატონებს, გამოფენის მონაწილეებსა და დამთვალიერებელს და გამოფენის თემატიკასა და სტილზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ ბათუმელ მხატვრებთან საინტერესო და მნიშვნელოვანი ურთიერთობები გააჩნიათ.

ავთანდილ თავართქილაძე: - ესენი არიან ქალ მხატვართა შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებსაც არაერთ მნიშვნელოვან გამოფენაში მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენ ვგეგმავთ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას. აგვისტოში თავად ჩავერთვები მათ პროექტებში და ასევე ვგეგმავთ შემოქმედებითად აქტიური მხატვარი ქალბატონების ჩართვას. ამჟამად შევეცადეთ არა ბევრი სურათი გამოგვეფინა, არამედ მოგვეწყო ექსპოზიცია, რაც ცალკე ხელოვნებაა. აქ იყო საოცარი ესთეტიკა, ქალის ხელი ეტყობოდა ყველაფერს.



გამოფენაზე ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ დედის დღე მიულოცა ქალბატონებს, მადლობა გადაუხადა გალერეის დირექტორს, ადმინისტრაციას, ბათუმელ სტუმრებს.

გამოფენის მაღალი ორგანიზებით, დამთვალიერებელთა აკადემიურობით აღტაცება გამოხატეს ბათუმელმა სტუმრებმა.

მაია ჭყონია: - აღტაცებული ვარ, რომ ოზურგეთში დამხვდა ასეთი პუბლიკა და ასეთი დონის გამოფენა. ეს არის ნიმუში, როგორი უნდა იყოს თავად გამოფენის ორგანიზება და დამთვალიერებელი. მადლობა გალერეის დირექტორსა და ადმინისტრაციას. ასევე ქალაქის მერს მის მიერ გამოჩენილი ყურადღებითა და დამოკიდებულებით ხელოვნებისა და ხელოვანი ადამიანების მიმართ.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 9 მარტი ორშაბათი | 10 მარტი სამშაბათი | 11 მარტი ოთხშაბათი | 12 მარტი ხუთშაბათი | 13 მარტი პარასკევი | 14 მარტი შაბათი | 15 მარტი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა | მზე, ღრუბელი | მზე, | წვიმა | წვიმა | მზე, ღრუბელი | წვიმა |
| +2+13 | +7+18 | +9+19 | +4+10 | +6+8 | +6+12 | +4+9 |